პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 180 (13574)

სამშაბათი, 9 აგვისტო, 1966 წ.

ფასი 2 კაპ.

დროშები — გამარჯვებულთ

ახალი ხუთწლედის პირველი ხამეურნეო წლის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები. მატულობს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა რიცხვი, რის შესახებ მოხსოვიდან სისტემატურად მოდის სასიხარულო ცნობები.

ჩვენი ქვეყნის კერამიკოსთა შორის გაწეული სოციალისტური შეჯიბრების სათავეშია კომუნისტური შრომის საწარმო — თბილისის კერამიკული კომბინატი. ქართველმა კერამიკოსებმა მეორე კვარტალში გეგმის გადამეტების 395 ათასი მანეთის პროდუქცია მისცეს სამშობლოს. გადაჭარბებით შესრულებულია რეალიზაციის დავალება.

შრომის ნაყოფიერების ზრდა გეგმით გათვალისწინებულს ორი პროცენტით აღემატება. მიღებულია 37.500 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. კომბინატის კოლექტივი ამაყობს ამით, რომ წელს გამოშვებულ პროდუქციაზე მომხმარებლისაგან რეკლამაცია არ მიუღია. ამ მაჩვენებლების მიხედვით ქართველმა კერამიკოსებმა მეორე კვარტალში სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიმკვიდრეს და მიეკუთვნათ სსრ კავშირის საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და საშინ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ნახშირმადნეულძიებების ორგანიზაციებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დავალებათა ვადამდე მესრულებლებისათვის. შეჯიბრებაში ჩაება „საქნახშირმადნეულძიების“ ტრესტის კოლექტივი.

ქართველმა მაძიებლებმა მეორე კვარტალში დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. მომხმარებელ ორგანიზაციებს საგქსპლოატაციოდ გადასცეს მარგანეცის, სპილენძის, აქატის და ფუთიის ახალი ცერები, იმაზე მეტი, ვიდრე გეგმით ითვალისწინებდა. ამ და სხვა მაჩვენებლების მიხედვით ისინი გამარჯვებული გამოვიდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც მიეკუთვნათ სსრ კავშირის გეოლოგიური სამინისტროსა და გეოლოგიურ მაძიებელ მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

პარტიული დემოკრატია და დისციპლინა

საბა მილიონობით წევრთა მოქმედების ერთობას საფუძვლად უდევს საერთო კომუნისტური რწმენა, ლენინური ორგანიზაციული პრინციპები და პარტიული ცხოვრების ნორმები. XXIII ყრილობამ გამოხატა კომუნისტთა მტკიცე ნება ზუსტად დაიცვან და განავითარონ პარტიის ეს ლენინური საფუძველი.

ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) პლენუმის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრუქტურას, შემდგომ განვითარდეს, რომ გაფართოვდეს და გაღრმავდეს შინაპარტიული დემოკრატია. ამან გამოიწვია ხელმძღვანელობის კოლექტიურობის გაძლიერება, პარტიული კომიტეტების პლენუმების, კომუნისტთა კრებების როლის ზრდა. გაჯანსაღდა პარტორგანიზაციების მთელი ცხოვრება და საქმიანობა. ბევრ კომიტეტში კარგი წესი გახდა საანგარიშო-სარჩევნო კრებებსა და კონფერენციებს შუა პერიოდში რეგულარულად გაკეთნენ პარტიულ მასებს თავიანთი მუშაობა. პრაქტიკაში შემოდის ცნობები კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნებისა და პრაქტიკული წინადადებების შესრულების შესახებ. ასეთი ცნობები მოსმენილ იქნა, მაგალითად, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე.

კომუნისტის ცხოვრება და მუშაობა დაკავშირებულია პირველადი ორგანიზაციის საქმიანობასთან, სადაც იგი იზრდება როგორც რწმენით აღსავსე, პარტიის ერთგული, ენერგიული მებრძოლი, როგორც საქმით ახორციელებს პარტიულ დისციპლინას. ამიტომ საჭიროა, რომ აქ შექმნილი იყოს ნამდვილი ამხანაგური და მეგობრული ატმოსფერო, რომ ორთოდოქსული ატმოსფერო, რომ არაფერი არ უშლიდეს ხელს თვითეულს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი ყოველ საკითხზე, გაკრიტიკოს და არ ეშინოდეს დევნისა კრიტიკასთვის. მხოლოდ ერთობლივი, ამხანაგური განხილვის მსჯელობაში შეუშვებდეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება, განსაზღვრავდა ორგანიზაციის წევრთა კოლექტიური მოქმედების გზები, განიხილება მათი პასუხისმგებლობა ხალხთა მუშაობისათვის.

შინაპარტიული დემოკრატიის განვითარება იმას ნიშნავს, რომ გულდასმით, პატივისცემით მოვეკიდოთ კომუნისტთა აზრსა და წინადადებებს. სამწუხაროდ, ეს ყველგან ახე როდია. ეი კომუნისტთა ჯგუფის წერილი ხვერდლოვსკის ქარხანა „ურალკაბელიდან“. „ბევრი ჩვენგანი, — წერენ ისინი, — არაერთხელ გამოსულან პარტიულ კრებებზე და წამოუყენებიათ წინადადებები შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, ჩვენი პარტიული მუშაობის სრულყოფის შესახებ. და მერე რა? წინადადებებს იწონებდნენ, წერდნენ ოქმში, მაგრამ ქაღალდზე რჩებოდა. გვერწმუნეთ, ამის შემდეგ გვეკარგება სურვილი კრებაზე გამოსვლისა. თურმე შენი აზრი არავის არ ინტერესებს“. კომუნისტთა მნიშვნელოვანი წინადადებებისა და შენიშვნებისადმი ასეთი დამოკიდებულება შეუწყნარებელია.

ПРАВДА
8 აგვისტოს მოწინავე

შინაპარტიული დემოკრატიის განვითარება შეხამებული უნდა იყოს მაქსიმალურ საქმიანობასთან, ორგანიზებულობასთან, პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერებასთან. სამწუხაროდ, ზოგან სხვადასხვა საკითხის, ზოგჯერ წვრილმანი, მიმდინარე საკითხების ვრცლად განხილვას აქცევენ ლამის თვითმიზნად, უამრავ დროსა და ძალებს ხარჯავენ ამაზე. ზოგჯერ მიაჩნიათ, რომ რაც უფრო დიდხანს გრძელდება კრება ან სხდომა, რაც უფრო ვრცელი სიტყვები წარმოითქმება ამ კრებაზე, მით უკეთესია.

ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, ერთად განხილვა არ შეიძლება გადაკვეცილი ლაყბობად. ასეთი სტილი წარმოშობს მხოლოდ უპასუხისმგებლობას. უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის მითითება, რომ უპასუხისმგებლობა, დაფარული კოლეგიურობის დამოწმებით, ყველზე საშიში ბოროტებაა.

ჩვენი პარტიული დემოკრატიზმი მოქმედების დემოკრატიზმია. კოლექტიური განხილვის, დისკუსიის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მიღებულია გადაწყვეტილება, ამას უნდა მოჰყვეს აქტიური და ერთსულოვანი მუშაობა მის შესასრულებლად. და აქ ყველა კომუნისტი ვალდებულია მოქმედებდეს როგორც ერთი კაცი. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ოსტატები ლამაზად ლაპარაკისა, ეფექტური სიტყვის წარმოთქმისა, ყველას და ყველაფრის გაკრიტიკებისა, ხოლო როცა საქმე მიდის პირად მონაწილეობამდე საერთო მუშაობაში, განზე დგებიან. ხდება, რომ კომუნისტს ეკითხებიან: რატომ არ ასრულებ მიღებულ გადაწყვეტილებას? იგი კი ერთბაშად აცხადებს, მე ჩემი აზრი მაქვსო. ეს სხვა არ არის რა, თუ არა პარტიული დემოკრატიის არსის გაუგებლობა. სრული დემოკრატია, აზრთა თავისუფლება ყოველი საკითხის განხილვის დროს და რეინისებური დისციპლინა მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მიღებულია უმრავლესობის ნებით, ასეთია პარტიის კანონი.

დემოკრატია და დისციპლინა განუყოფელად დაკავშირებულია ერთმანეთთან, არ შეიძლება მათი დაპირისპირება ერთმანეთისადმი. ახლანდელ პირობებში, როცა პარტიის როლი და პასუხისმგებლობა კომუნისტურ მშენებლობაში სულ უფრო იზრდება, განსაკუთრებით საჭიროა, რომ თვითეული მისი რაზმი, თვითეული ორგანიზაცია, თვითეული კომუნისტი მოქმედებდეს აქტიურად, შეკავშირებულად, განუხრელად ახორციელებდეს პარტიული პოლიტიკას. ამის საწინდარია პარტიული დისციპლინის თანმიმდევრული განმტკიცება, რომელიც ერთნაირად სავალდებულოა ყველა კომუნისტისათვის, მიუხედავად დამსახურებისა და დაკავებული პოსტისა. საჭიროა, რომ ყველგან განუხრელად იყოს დაცული სკკპ წესდების მოთხოვნები, რომ კომუნისტების მიერ საწესდებო ვალდებულებათა შესრულების შესახებ უფრო ხშირად იყოს ლაპარაკი კრებებზე. პარტიული ცხოვრების ნორმებისა და წესების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის არც ერთი დარღვევა არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ, მას უნდა მიეცეს პრინციპული შეფასება.

ამას წინათ სკკპ ოსტკომის საოლქო კომიტეტის პლენუმზე მოიყვანეს ასეთი მაგალითი. უკანასკნელ მახეკარ წელიწადში პარტიის სემინარკომრსის რაიკომის ბიუროს ხუთჯერ განიხილა რაიონში სარწყავი მიწების გამოყენების გაუმჯობესების საკითხი. ამაზე ლაპარაკი იყო პარტიული აქტივის რაიონულ კრებაზეც. მიიღეს გადაწყვეტილებები: დაევალოს საწარმოო სამმართველოს ხელმძღვანელებს შეასრულონ შემუშავებული ღონისძიებანი. ამ გადაწყვეტილებებს რომ კენჭს უყრიდნენ, ხელს სწევდა აგრეთვე საწარმოო სამმართველოს უფროსი ა. ნ. დუნინი, რაიკომის ბიუროს წევრი. ხმა კი მისცა, მაგრამ დიდხანს თითქმის არაფერს არ აკეთებდა, რომ მოეწყო გადაწყვეტილების შესრულება. მაგრამ მას ამისთვის პასუხი არ მოსთხოვეს.

დიდი პასუხისმგებლობისა და უმაცრესი დისციპლინის გრძნობა უნდა ახასიათებდეს თვითეულ კომუნისტს. მაგრამ განსაკუთრებით დიდია ხელმძღვანელი კომუნისტის პასუხისმგებლობა. იგი ყოველთვის გამოსაჩენ ადგილზეა, და მისი პირადი მაგალითი საჭიროა იმათ ალსაზრდელად, ვისაც იგი ხელმძღვანელობს. „...თუ ჩვენ კეთილსინდისიერად ვასწავლით დისციპლინას მუშებსა და გლეხებს, მოვალენი ვართ დავიწყოთ საკუთარი თავიდან“, — წერდა ვ. ი. ლენინი. ხელმძღვანელობის დონეზე, ორგანიზებულობასა და დისციპლინაზე, განსაკუთრებით დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემის შემოღების პირობებში, დამოკიდებულია ჩვენი მეურნეობის ყველა რგოლის წარმატებით მუშაობა. ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე კვლავ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველა ხელმძღვანელის, დიდი და პატარა ხელმძღვანელის მიერ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა იმ ამოცანების წარმატებით შესრულების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ დასახა.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა განვითარონ შინაპარტიული დემოკრატია, აღზარდონ კადრები ლენინური იდეურობის, პარტიისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ზუსტად დაცვის. სულნაყვეთებით, გაძლიერონ მომთხოვნელობა, უწრუნველყონ კომუნისტური მშენებლობის თვითეულ უბანზე მაღალი ორგანიზებულობა და სიზუსტე მუშაობაში.

დიდხევის სიკეთე

თბილისი. (საკ. კორ.). ართანის კოლმეურნეობა საქმით გამოეხმაურა სიღნაღელ, კასპელ და ბოლნისელ მშრომელთა თაოსნობას სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მელიორაციის საქმეში. მდინარე დიდხევიდან ორი კილომეტრი სიგრძის არხი გაიყვანეს და წყალი ველ-მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში მიუშვეს.

რწყვაში მ. კონკოშვილის ბრიგადა დაწინაურდა. 32 ჰექტარი ვენახი. ულეველ ორჯერ მორწყა. წყალს არ აკლებენ აგრეთვე სიმინდის ნათესებსა და ხეხილს. სიბეჯითემ სასიხარულო ნაყოფი გამოიღო. ვაზი მწვანედ ხასხასებს. მტევნები დაკუმულა. ჰექტარზე გეგმის ზევით 40-50 ცენტნერ ყურძენს მოელიან.

ართანელები მორწყვის სეზონის შემოდგომაზე იგებენ. კოლმეურნეობის ხაზარის სულ ცოტა 60 ათასი მანეთი შემოატანს.

მეცხოველეობის პროდუქტები — სამშობლოს!

მეცხოველეობის მეტი პროდუქტები სამშობლოს! — ამ დევიზით შეიობრეს ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილენ. რაიონი, კოლმეურნეობა დაწინაურდა. ეთგადგა ფიქრავს ქარელის რაიონის მეცხოველეებმა, მაგრამ ცხრა თვის გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 10.460 ცენტნერი რძე, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1 აგვისტოს ცნობებით უკვე მიაყიდეს 10.897 ცენტნერზე მეტი.

სახელმწიფოსათვის რძის მოყიდვის ცხრა თვის დავალება გადაჭარბებით შესრულეს **წიოლეწყაროელებმა.** სახელმწიფოს მიაყიდეს 51.650 ცენტნერი რძე ნაცვლად 50.700 ცენტნერისა. წარმატება მოიპოვეს **ჭიათურის** კოლმეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებული 5.750 ცენტნერის მაცვლად სახელმწიფოს მიაყიდეს 6.101 ცენტნერი რძე.

საჩხერის რაიონის მეცხოველეებმა სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 8.300 ცენტნერი რძე, — ფაქტიურად მიაყიდეს 8.703 ცენტნერი.

195.000 ტონა ჩაისთვის!

ხოგელ მეჩაიეთა ქარგი მაგალითი

მოკრეფილია 3.557 ტონა ჩაის ფოთოლი
ნაცვლად 3.553 ტონისა

ხობი. (საკ. კორ.). ახალი ხუთწლედის პირველ წელს განსაკუთრებით მაღალეფექტიანად მრომობენ ხობელი მეჩაიეები, რომლებიც განუხრელად ასრულებენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს. მეჩაიეებმა ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ამ თაოსნობას გამოეხმაურნენ კოლმეურნეობები, ბრიგადები, საბჭოთა მეურნეობები, ცალკეული მეჩაიეები.

ღოლიდადე ძალიერდებოდა მუშაობის ტემპი. შედეგიც სასიხარულო მოიღეს. ზობელმა მეჩაიეებმა 7 აგვისტოსთვის სამშობლოს უტაბეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება. **გეგმით გათვალისწინებული 3.553 ტონის ნაცვლად მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარდა 3.557 ტონა ჩაის ნედლეული. მოკრეფილი ნედლეულის 70 პროცენტზე მეტი პირველი ხარისხისაა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 988 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი. საშუალო მოსავლიანობა შარშანდელთან შედარებით 500 კილოგრამით გაიზარდა.** (საქართველოს ს ხობის რაიკომის პირველი მდივანი **ალ. წურწუმია,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვ. ბერია,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი **ვ. კილასონია**).

მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში თავი ისახელეს ძველი ხიბულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა (თავმჯდომარე ლენინის ორდენოსანი **ვ. ჯიშკარიანი**). ფელნბიდელელმა მეჩაიეებმა რაიონში პირველად უმატეს სამშობლოს წლიური გეგმის შესრულება. მოკრეფილი 660 ტონიდან 30 ტონა ეალდებულების ანგარიშში მოკრეფილი. ამას გარდა იკისრეს მოკრეფილ 100 ტონა. წლიური გეგმა გადაჭარბებით გაანადგა ბალმა საჯიკოს ჩაის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე **ტ. შენგელია**). აქ მოკრეფილი ნედლეულის 80 პროცენტზე მეტი პირველი ხარისხისაა.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალებები კარგადაა შესრულეს ბის ალენინის სახელობის, ხამისკურის ყოფილ ენინის სახელობის, ხობის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ძველი ხიბულისა და ბალმა საჯიკოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც **რ. ქავთარაძე, ბ. კვარაცხელია** და **ლ. ჭანტურია** ხელმძღვანელობენ.

წლიური გეგმა დიდი ხანია შეასრულა ახალ ვალდებულების ბიგარიშში ერეფს ფოთოლ ნოვატორი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი **ქსენია კეკალიშვილი.** მას დღევე მოკრეფილი აქვს 9.5 ტონა ჩაის ფოთოლი. წარმატება მოიპოვეს მეჩაიეებმა ხორა ჯაკობიამ, ლამარა ჭკადუამ, ეალდა ჭურჭუნიამ, ნინო აბშილავამ, ზოია მზიურელუამ, მზია ჭანტურიამ და სხვებმა.

ხობელმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ხეზობის ბოლამდე წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 800 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

შრომითი ნობათები

მაიაკოვსკის რაიონის მშრომელებმა 5 აგვისტოსათვის 102 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბოროცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა, რძისა — 110 პროცენტით. შესრულებულია კვერცხის დამზადების წლიური დავალება. 112 პროცენტით შესრულდა კურკოვანი ხილის დამზადების გეგმა — ატყობინებენ რედაქციას პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი **პ. აბესაძე,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ჯოგლიძე,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი **ა. კვირიკაშვილი.**

ვანის რაიონმა 5 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულა ხილის დამზადების წლიური გეგმა — გვაცნობეს პარტიის განის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ყიფიანმა,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ო. გიორგაძემ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **გ. მაღლაკელიძემ.** სახელმწიფოს მიეყიდა 2.240 ტონა ყურკოვანი და თესლოვანი ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.940 ტონისა. ხილის დამზადება გრძელდება.

თერჯოლის რაიონის მშრომელებმა ვადაზე ადრე შეასრულეს ხილის დამზადების წლიური გეგმა. თერჯოლელებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 9.600 ცენტნერი ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.500 ცენტნერისა. ამავე დროს რაიონში ხორცის დამზადების ცხრა თვის დავალება შესრულებულია 102 პროცენტით, რძისა — 103 პროცენტით — აცნობებს რედაქციას პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა **ი. ყიფიანმა,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ღიბრაძემ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ი. შუბლაძემ.**

ტვარჩელი მაღალ მთაზე შენდება შახტაჰესი, რომელიც პირველი ასეთი სახის ნაგებობაა საბჭოთა კავშირში. ამ მშენებლობაზე თავი ისახელა გამყვანთა ბრიგადამ, რომელსაც ნიკოლოზ ბახტაძე ხელმძღვანელობს.

ხურათზე: ბრიგადირი **ნ. ბახტაძე.**

ფოტო ხ. კილაძისა.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო თურქეთის დიდი ეროვნული კრების დელეგაციის

8 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ეროვნული პალატის თავმჯდომარე ფერუჭ ბოზბეილი. დელეგაცია ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

დელეგაციასთან ერთად დარბაზობაზე იყო თურქეთის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ჰასან ესატ ოშიკი.

ა. ნ. კოსიგინსა და თურქეთის პარლამენტარებს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში

მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დელეგაცია ეროვნული პალატის (მეჯლისის) თავმჯდომარის ფერუჭ ბოზბეილის მეთაურობით 8 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შეხვდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს ი. ვ. სპირიდონოვსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უფროსი ვიზიტი.

დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს გააცნო თურქეთის პარლამენტის საქმიანობა.

ი. ვ. სპირიდონოვმა დელეგაციის წევრებს გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სამახსოვრო ნიშნები.

საუბარში, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ვ. ა. დემჩენკო, ნ. ტ. კოზლოვი, პ. ტ. პიმენოვი, პ. ნ. ფედოსეევი. (საკდესი).

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი 127“

1966 წლის 8 აგვისტოს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოს-127“-ის მორიგი გაშვება. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განკუთვნილია იმისათვის რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,2 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 279 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 204 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 51,9 გრადუსი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,994 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკორდინაციო-გამმოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

მოსავალი ახარებს გულს

ახლა ყველა გზა გახსნილია მოსავლისათვის: ღელსით და ღამით მიჭრიან გზებზე ქარვისფერი მარცვლით დატვირთული ავტომანქანები. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბელლები განუწყვეტლივ იღებენ პურს. ნალწი ახარებს მიწათმოქმედებს. თავთავიანი კულტურების მოსავალი უფრო დიდია, ვიდრე წინა წლებში. მექანიზატორები დიდ ფართობებზე 20-30 ცენტნერამდე მარცვალს იღებენ ჰექტარზე.

კომბაინები და სამკალი მანქანები უკვე ტოვებენ რუსეთის, უკრაინის, მოლდავეთის სამხრეთი რაიონების ყანებს. მკა დაიწყო ციმბირში. პურეულების აღებას შეუდგნენ კრასნოიარსკის მხარის, კემეროვოს ოლქის, ტუვის ავტონომიური რესპუბლიკის მიწათმოქმედნი. ალოობა იწყება ჩრდილოეთ ყაზახეთში, ალტაის მხარეში.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით 5 აგვისტოსათვის ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა-მეურნეობებში სამარცვლე და სამარცვლე პარკოსანი კულტურები (უსიმინდოდ) მომკილია 56 მილიონ 282 ათას ჰექტარზე. ეს ამ კულტურების ნათესების თითქმის ნახევარია. 50 მილიონ ჰექტარზე მეტ ფართობზე გალეწილია პურეულები. ამ მუშაობის ტემპი უკანასკნელ ხუთ დღეში რამდენადმე გაძლიერდა.

გასული წლის 8 აგვისტოს დამდგომან შედარებით მნიშვნელოვნად ფართოდ გაჩაღდა სიმინდის ტეხვა. მისი მოსავალი უკვე აღებულია 1,7 მილიონ ჰექტარზე — ეს გეგმის 8 პროცენტია.

რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინაში, ბელორუსიასა და ბალტიისპირეთში. ჩვეულებრივ ვადაზე გაცილებით ადრე მიმდინარეობს საბოჭკოე სელის გლეჯა. მოსავალი უკვე აღებულია თითქმის ნათესების ნახევარზე (650 ათას ჰექტარზე). საბოჭკოე სელის გლეჯა თავრდება, დასასრულს უახლოვდება სელის გლეჯა ბელორუსიაშიც.

ჩვენი ქვეყნის მხვნელ-მთესველნი იწყებენ მზრალად ხვნას. მზრალად მოხნულია პირველი ბუთი მილიონი ჰექტარი — გეგმის 4 პროცენტი. მექანიზატორები აქაც „იგებენ“ დროს:

გასული წლის ზაფხულთან შედარებით ხვნა დაახლოებით ერთნახევარჯერ უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

აწარდება საშემოდგომო კულტურების თესვის დრო. ვოლგისპირეთში, ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ და ზოგიერთ სხვა რაიონში მიმდინარეობს უკვე გამოვიდნენ პირველი ნათესი აგრეგატები. (საკდესი).

კეთილი საშესახურის ადამიანები

ნდოგის სიკეთე

ექვსი წლის წინათ მოვიდა იგი ცეკავშირის სისტემაში სამუშაოდ. პირველ ხანებში მის კანდიდატურას მოწონებით როდი შეხვდნენ ცეკავშირის კადრების განყოფილებაში.

— ქალი პედაგოგი ყოფილა, — ისტორიკოსი, ვაჭრობაში რას გაგვიკეთებს? — თქვა ერთმა თანამშრომელმა.

— გაგრის რაიკომის მდივნადაც უმუშავნია, ხობის რაიგაზეთის რედაქტორიც ყოფილა, — შენიშნა მეორემ.

— თუ ეკონომიური განათლება არა აქვს, ვაჭრობაში არ გამოდგება, — ეჭვს გამოთქვამდა მესამე.

მაგრამ პარტიის რაიკომის წარდგინებას მხარი დაუჭირეს. ცეკავშირის გამგეობამ თამარ (თალიკო) იუსტინეს ასული გოგინავა ჯერ ხობის რაიკოოპერატივის, შემდეგ კი რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ დამტკიცეს.

ასე ჩადგა საქართველოს კოოპერატორთა რიგებში ცხოვრების კარგი სკოლაგამოვლილი — კომუნისტი თ. გოგინავა.

თალიკო გოგინავას ცუდი მემკვიდრეობა დახვდა ხელმძღვანელ კოოპერაციულ სამუშაოზე მისვლისას. საკმარისია ითქვას, რომ რაიკოოპერატივის სისტემაში დებიტორული და სხვა სახის დავალიანება 1960 წლის 1 იანვარიდათვის 2 მილიონ 100 ათას მანეთს შეადგენდა.

ამ ფაქიზი გრძნობისა და პრინციპული ხასიათის კომუნისტმა ქალმა კოოპერაციაში თავისი პირველი ნაბიჯები კოოპერაციული კადრების შესწავლით დაიწყო. როცა შენიშნა, რომ ზოგიერთი სოფელში ამა თუ იმ მაღაზიის გამგე-გამყიდველი თუ დირექტორი მეპაიეთა ნდობის ღირსი არ იყო, ან ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლევი იყო, მაშინვე დააყენა რაიონის ხელმძღვანელი ორგანოებში ასეთი საეჭვო ელემენტებისაგან სავაჭრო ქსელის გაწმენდის საკითხი. მას მხარი დაუჭირეს, და ეს საქმესაც დაეტყო.

დღეს ხობის რაიკოოპკავშირი ცეკავშირის

დღეს მოსკოვში მუშაობას იწყებს სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა VII ყრილობა

მთელ სისტემაში ერთ-ერთ მოწინავე კოოპერგანიზაციად ითვლება.

ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ შარშან ხობის რაიკოოპკავშირის კოლექტივმა დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ორჯერ მოიპოვა გარდამავალი დროშა, ერთხელ საპატიო სიგელი და ორჯერ ფულადი პრემია.

არც მიმდინარე წელს შეუნელებიათ ხობელებს ბრძოლა მოპოვებული მიღწევების განმტკიცებისა და ახალი მიჯნების ასაღებად. მათ სკკპ XXIII ყრილობის გახსნის დღეს უპატაკეს სამშობლოს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საქონელბრუნვის გეგმისა და ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკიხრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულების შესახებ. თ. გოგინავას პორტრეტი ამშვენებს ცეკავშირის სისტემის მოწინავე მუშაკთა საპატიო დაფას.

ხობელები ახალი წარმატებების მოპოვებით შეხვდნენ საქართველოს კოოპერატორთა XV ყრილობას — თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულეს 1966 წლის პირველი ნახევრის საქონელბრუნვის გეგმა და სხვა ავადყოფურ მოვლენებს, ეს ამ კოოპორგანიზაციის სიჯანსაღეს ადასტურებს.

საყურადღებოა, რომ რაიკოოპკავშირს დღეისათვის არა ჰყავს ზარალიანი ორგანიზაცია. ამ კოოპერაციული ორგანიზაციის კოლექტივი თავდადებით იბრძვის ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის, პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ღირსეულად შესრულებისათვის. ამ საქმეში მაგალითის მაჩვენებელი არიან კომუნისტური შრომის ბრიგადები და კომუნისტური შრომის დამკვრელები. ეს მოძრაობა ახლა თანდათან ძლიერდება. დღეისათვის ამ საპატიო წოდების მოპოვებისათვის ბრძოლაში ჩაბმულია 8 ბრიგადა და 14 კოოპერატორი.

1964 წელს, როგორც კოოპერაციული ორგანიზაციის მოწინავე მუშაკი, თ. გოგინავა დაჯილდოებულ იქნა „სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით. მასვე მიღებული აქვს ცეკავშირის გამგეობის საპატიო სიგელი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით, სხვა ქართველ კოოპერატორებთან ერთად, თამარ გოგინავა დაჯილდოებულ იქნა მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“. საქართველოს კოოპერატორთა XV ყრილობამ კი იგი აირჩია სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა VII ყრილობის დელეგატად.

თამარ გოგინავას, როგორც დელეგატს, ბევრი ექნება სათქმელი მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, სადაც 9 აგვისტოს გაიხსნება სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა VII ყრილობა.

სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობას ხობელი კოოპერატორები ახალი წარმატებებით ხვდებიან.

ღიმილის ადამიანი

გასული წლის ნოემბერში საქართველოს კოოპერატორთა დიდი ჯგუფი რომ დაჯილდოდეს სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, მათ შორის იყო თელავის რაიკოოპკავშირის უნივერსალური მაღაზიის სექციის გამგე — გამყიდველი ბაბუალა იოსების ასული ღვინიაშვილიც. იგი დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის“ ორდენით კოოპერაციული ვაჭრობის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის.

უფრო ადრე კ., სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომიტეტმა 1965 წლის 13 თებერვლის დადგენილებით, მოპოვებული წარმატებებისა და 1964 წელს გამოფენაში მონაწილეობისათვის იგი ბრინჯაოს მედლითა და 50 მანეთი ფულადი პრემიით დაჯილდოდა.

ყველა ეს ჯილდო თავისი თავდადებული, უანგარო შრომითა და მომხმარებელთა გულისხმიერი მომსახურებით აქვს მოპოვებული თელავის რაიუნივერმაღის სექციონერ-გამყიდველს ბ. ღვინიაშვილს.

ბაბუალა ჯერ ისევ გოგონა იყო, როცა არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაუბედავად შეაღო თელავის სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტის კარი და უხმოდ გაჩერდა.

— ახლო მოდი, შვილო, რა გინდა? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— თქვენთან მომასწავლეს, სამუშაოზე მიღებაში დაგეხმარებიო... ობოლი ვარ.

— არა სწავლობ? სწავლაში ხომ შეგეშლება ხელი?

— შვიდწლედი დავამთავრე. მეტი სამუალება არა მაქვს და უნდა ვიმუშაო, სწავლას მერე განვაგრძობ.

ეს იყო 1932 წელს. ბ. ღვინიაშვილი სამუშაოზე მიიღეს მოწაფედ. 1935 წელს კი გამგეობამ კომკავშირელი ქალიშვილი მიავლინა თბილისში საქონელმცოდნეობის ორწლიან სკოლაში. ამ დროიდან დაწყებული დღემდე იგი განუწყვეტლივ მუშაობს თელავის სავაჭრო ორგანიზაციებში და კეთილსინდისიერად ემსახურება მომხმარებლებს — მეპაიეებს, მყიდველებს.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მუშაობის სამ ათეულ წელზე მეტს ითვლის ბაბუალა ღვინიაშვილი, და ამ ხნის მანძილზე მისთვის უბრალო საყვედურიც არავის უთქვამს.

უაღრესად გულისხმიერად, კეთილი ღიმილით ეგებება ყოველ მომხმარებელს და მის ნდობას, სამაგიერო პატივისცემა, სიყვარული მოუხვეჭია.

ბაბუალა ღვინიაშვილი 1952 წლიდან თელავის რაიუნივერმაღის „განთიადის“ ქსოვილების სექციის სექციონერ-გამყიდველია და მუდამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს საქონელბრუნვის გეგმებს. პრემიები და ჯილდოები, მედლები და ქების სიგელები თავისთავად მეტყველებენ ამ ღვაწლმოსილი კოოპერატორის შრომისმოყვარეობაზე, ხალხის სამსახურისათვის თავდადებაზე, უანგარობასა და სათნოებაზე.

კომუნისტ დახლის მუშაკს ბ. ღვინიაშვილს სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის წარჩინებული მუშაკის წოდება აქვს მინიჭებული. იგი სათუთად უფრთხილდება ამ სახელს და მუდამ ცდილობს თავისი უანგარო მუშაობით ღირსეულად ატაროს იგი. ასეც არის. ბ. ღვინიაშვილი ყოველთვის პირველია ვაჭრობის ახალი ფორმების დანერგვაში, ინიციატივიანია ყოველივე მოწონების, პროგრესულთა გამოყენებასა და მის შემდგომ სრულყოფაში.

ამიტომ იყო, რომ ბაბუალა ღვინიაშვილი ამას წინათ საქართველოს კოოპერატორთა XV ყრილობაზე სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა VII ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

სახელოვანი კოოპერატორი ქალი ღირსეული წარმატებებით შეეგება ვაჭრობის მუშაკთა დღეს. მიხმა სექციამ ვადაზე გადაჭარბებით შეასრულა ივლისისა და მომდინარე წლის შვიდი თვის საქონელბრუნვის გეგმა, გასულ წელთან შედარებით მოსახლეობას მიაყიდა ათასობით მანეთის ღირებულების საქონელი.

ვუსურვებთ ბ. ღვინიაშვილს კვლავაც სასახელოდ ეტარებინოს წარჩინებული კოოპერატორის სახელი, მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება მოეხმარებინოს ხალხისადმი უანგარო სამსახურისათვის.

ა. კოკილაშვილი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — თ. გოგინავა, ქვემოთ — ბ. ღვინიაშვილი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

დროა ქარხანა აშენდეს

სურამის მინის ტარის ქარხნის მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა სათაურით „დროა ქარხანა აშენდეს“. წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ხ. ჩხარტიშვილი რედაქციას ატყობინებს:

გაზეთში გამოქვეყნებული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე განხილულ იქნა სურამის მინის ტარის ქარხნის მშენებლობის მდგომარეობა. განხორციელდა დამატებითი ღონისძიებანი სამშენებლო სამუშაოთა დაჩქარებისა და ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამკვეთმა (ქარხნის დირექციამ) დღემდე ვერ მისცა ქვეკონტრაქტორ — „სოიუზლიფტის“ უბანს ნახაზები ლიფტის გადაკეთების სამუშაოთა დაწყებისათვის. „პრომკვიპროექტს“ დამკვეთისაგან არ მიუღია ადგილთვე 3 კმ კაბელის პროდუქცია სამუშაოთა ჩასატარებლად.

რაც შეეხება ქარხნის წყლით მომარაგების საკითხს, იგი დამოკიდებულია ხაშურის წყალსადენის სამუშაოთა დამთავრებაზე, რომლის ელექტროქვესადგურის მონტაჟი ფერხდება კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ ტრანსფორმატორის და სხვა მოწყობილობის მიუწოდებლობის გამო, რის შესახებ არაერთხელ ეცნობა მათ.

წერილთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო ადგილობრივ ხაშურის რაიკომის მდივნის ზ. აბაზაძის პასუხი, რომელიც გვაცნობებს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეა. საკითხი განხილა რაიკომმა მშენებლობის, მოიჯარე ორგანიზაციებისა და ქარხნის დირექციის წარმომადგენლების მონაწილეობით. დაისახა გზები ჩამორჩენის დასაძლევად. პარტიის რაიონული კომიტეტი კვლავაც მიიღებს ზომებს მშენებლობის დროულად დასამთავრებლად.

თავის პასუხში საქკურორტვაჭრობის სურამის განყოფილების მმართველი ა. პაპუაშვილი გვწერს: წერილში მოყვანილი ფაქტი № 3 სასადილოს ცუდი მუშაობის შესახებ სინამდვილეს შეეფერება. სასადილოს გამგეს თ. ცუცქირიძეს მიეთითა, ხოლო მებუფეტე ნ. ქართველიშვილი და მზარეული ბ. ბირკაძე გაფრთხილებულ იქნენ.

ნერილი არ დაბეჭდილა მაგრამ...

გვიპასუხებს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო

კლუბის უქონლობისა და კულტურული მომსახურების ჩაშლის შესახებ სწერდნენ რედაქციას ფაბრიკა „ისნის“ ახალგაზრდები. წერილი ზომების მისაღებად გადაგზავნა საქსსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, რომელიც გვაცნობინებს:

თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ ახალგაზრდობის ერთი ჯგუფის წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა.

1965 წელს ხანძრის შედეგად დამწვარი კლუბი დღემდე აღდგენილი არ არის. ამის გამო ფაბრიკის ახალგაზრდობა მოკლებულია კულტურულ დასვენებას, შეფერხებულია მასტერული თვითმოქმედების წრეების მუშაობა, ბიბლიოთეკა მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში. რაც შეეხება სპორტულ მოედანს, ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა გასაკარგულებაშია სათანადოდ მოწყობილი კალათბურთის მოედანი.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ დაამტკიცა კლუბის აღდგენის პროექტი 363.770 მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით.

კლუბის შენობაში პროექტით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკის მოთავსება. კლუბის აგება გათვალისწინებულია 1967 წლის გეგმით.

ზემოაღნიშნულთან ერთად მიღებულია ზომები წერილში მოყვანილ სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მკითხველი ამბობს

„შუქურას“ ჩრდილები

ავტომანქანა ნაძვების, მაგნოლიების, კვიპაროსების დაბურულ ხეივანში დაეშვა და თვითად მოქთქთე მრავალსართულიან სავაჭრებელ კორპუსთან გაჩერდა. ეს იყო დასასვენებელი სახლი „შუქურა“.

ჩვენი მეგობარი იქვე მაგნოლიის ჩრდილში ჩამოქცეულ სკამზე ჩამომჯდარიყო და ახალგაცობილ კამჩატელ ინჟინერს ესაუბრებოდა.

ერთმანეთი მოვიკითხეთ, კამჩატელი ინჟინერიც გამცნო. როგორ შეეწყვეთ აქაურობასმეთქი, ვკითხე.

— ედემის ბაღია, აქაურობას ვინ არ შეეწყობა, დასასვენებელი სახლის მომსახურე პერსონალიც გულისხმიერებას არ გვაკლებს, მაგრამ... მეგობარი გაჩუმდა, ენას კბილი დაეკარა. მე არ ვიცოდი, იმ „მაგრამის“ მიღმა დიდი ცოდვა იმალებოდა თუ პატარა. ბოლოს ისიც გაიშფრა.

— ჩამოსვლის დღეს ლენინგრადელი ამხანაგები გვეიცანი. საქართველოში პირველად იყვნენ. მინდოდა სტუმართმოყვარულად გამომეგო თავი — ნაყინზე და ტკბილ სასმელებზე დავპატიჟე. ქმევეთ ჩამოვედით, მივიზიდ-მოვიზიდე, მაგრამ შენც არ მოქცდე, ნაყინი კი არა, ერთი ბოთლი ლიმონათი, რომ ინატროს, აქ ვერ იშოვნი! — მითხრა მეგობარმა.

— საპონი მოვიკითხე, მაგრამ ვერ ვიშოვნე, — საუბარში ჩაერია კამჩატელი ინჟინერი ჩიერია. — ხელის საპნისათვის დღეს ქობულეთში ჩავედი.

ავარკორორტვაჭრობის გამგეობის ნაცვლად მე გავეგზავნეთ. დასასვენებელ სახლში, სადაც ერთდროულად ორასამდე კაცი ჩამოდის, აუცილებელი მოთხოვნების საკნებს ვერ იშოვნი, ინტიმურ ადგილებში ბინა ერევა. ბინაში ბინა, ოთახში ოთახი, ერთ ოთახში ოცი კაცი ცხოვრობს, ერთ ოთახში ოცი ლოგინი, ოცი ტუალეტი, ოცი ტანსაცმელი, ოცი ფეხსაცმელი, ოცი ... ...

მშვიდობა ვიეტნამს!

ბერლინი. „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო და მთავრობა, ეროვნულ ფრონტში გაერთიანებული ყველა პარტია და მასობრივი ორგანიზაცია, აგრეთვე რესპუბლიკის მოსახლეობა გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივ აგრესიას ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. საპროტესტო აქციებისა და მასიური დახმარების გზით სულ უფრო მეტად ვუჭერთ მხარს მოძმე ვიეტნამელი ხალხის გმირულ და სამართლიან ბრძოლას. ჩვენ მოვითხოვთ გაიყვანონ ყველა ინტერვენტი როგორც წინამძღვარი ვიეტნამის საკითხის გადასაჭრელად ჟენევის შეთანხმებათა საფუძველზე", — ნათქვამია დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის განცხადებაში.

პრეზიდიუმმა აგრეთვე მოუწოდა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას გაილაშქროს იმ მხარდაჭერის წინააღმდეგ, რასაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა უწევს ამერიკელ ინტერვენტებს, აიძულოს იგი ბოლო მოუღოს ატომური შეიარაღებისა და რევანშის უგუნურ პოლიტიკას.

ფნომენი. აქ შეიქმნა კორეის ვიეტნამში ამერიკელი იმპერიალისტების დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი. დამფუძნებელი კრების მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც აგრესიულ ომს ეწევიან ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მათ მთლიანად და სავსებით დაუჭირეს მხარი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოთხპუნქტიან პოზიციას და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხუთპუნქტიან განცხადებას.

პარიზი. შრომის საყოველთაო კონფედერაციამ გამოაქვეყნა სპეციალური დოკუმენტი, რომელშიც თავის ფედერაციებსა და სადეპარტამენტო გაერთიანებებს აცნობებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირთა საყოველთაო კონფედერაციის დეპეშის შესახებ, სადაც ლაპარაკია ამერიკის თვითმფრინავების დანაშაულებრივი რეიდების შედეგებზე, წერს გაზეთი „ლუმანიტე". შრომის საყოველთაო კონფედერაცია თავის პროფკავშირებს მოუწოდებს მოაწყონ საპროტესტო დემონსტრაციები ვიეტნამის ომის ესკალაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი. თეთრ სახლთან დააყენეს მშვიდობის მომხრეთა ათი პიკეტი ვიეტნამში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, პიკეტებში, კერძოდ, მონაწილეობდნენ პაციფისტური ორგანიზაციების „ომისადმი წინააღმდეგობის ლიგისა" და „ქათოლიკური სამყაროს ძმობის" წარმომადგენლები.

რანგუნი. ბირმის გაზეთები დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ძლიერდება ამერიკის აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ. ამერიკის ავიაციის მიერ დემილიტარიზებული ზონის დაბომბვა, წერს გაზეთი „მირორი", არღვევს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებს ვიეტნამის შესახებ და კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ვიეტნამის ომის გაფართოების გზაზე. გაზეთი „ლუტა პიდუ ნეიზინი" სარედაქციო სტატიაში აცხადებს, რომ მხოლოდ თვით ვიეტნამელებს აქვთ უფლება გადაწყვიტონ თავიანთი საქმეები, და მოუწოდებს მსოფლიოს საზოგადოებრიობას გააორკეცოს მეცადინეობა და მიადწიოს იმას, რომ ვიეტნამის პრობლემა გადაიჭრას ჟენევის შეთანხმებათა სულისკვეთებით. (საკდესი).

საერთაშორისო ცხოვრება

სარკე პარტიულ მუშაკთა დელეგაცია გუჟარესტში

გუჟარესტი, 8 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დღეს გუჟარესტში გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკ ცენტრალური კომიტეტის ქიმიური მრეწველობის განყოფილების გამგე ვ. მ. გუშუევი.

ნ. ს. პატოლიჩევი რიო-დე-ჟანეიროში ჩავიდა

რიო-დე-ჟანეირო, 8 აგვისტო. (საკდესი). ბრაზილიის მთავრობის მოწვევით სავაჭრო საკითხებზე მოლაპარაკებისათვის დღეს აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი.

რუმინეთ-ირანის შეთანხმება

თეირანი, 8 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ ირანი რუმინეთში შეისყიდის 15 ათას ტრაქტორს და რუმინეთი ირანში ააშენებს ტრაქტორსაწყობ ქარხანას.

ხიროსიმა არ გამეორდება!

ხიროსიმა, 6 აგვისტო. (საკდესი). ხიროსიმა-ნაგასაკის კონფერენციის საერთაშორისო ნაწილზე ატომური დაბომბვის 21-ე წლისთავის გამო გრძელდებოდა სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დელეგატთა გამოსვლები. ორატორები ერთხმად მოითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის აგრესია ვიეტნამის მიმართ **და** გადაჭრით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების არაადამიანური მოქმედება ვიეტნამის მიწა-წყალზე.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაციის მეთაურმა პროფესორმა ფ. გ. ზახაროვმა განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანები გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა მარბიელურ დანამაულს. ისინი იწონებენ საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას, რომელიც სავსებით უჭერს მხარს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან საქმეს. სსრ კავშირი დიდ და სულ უფრო მზარდ დახმარებას უწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ამერიკის აგრესიის მოგერიებაში.

საბჭოთა დელეგატმა სასტიკად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პირფერული განცხადებანი, რომ მზად არის „მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის" და ვიეტნამის პრობლემის „მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის".

საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეები, აღნიშნა პროფესორმა ზახაროვმა, სრულ სოლიდარობას უცხადებენ იაპონელი ხალხის ბრძოლას ამერიკის სამხედრო ბაზების წინააღმდეგ, იმისათვის, რომ დაუბრუნონ იაპონიას ოკინავის კუნძული. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, ხაზი გაუსვა საბჭოთა დელეგატმა, რომ მშვიდობის მომხრეთა ერთობა განმტკიცებას როგორც საერთო მსოფლიო მასშტაბით, ისე ეროვნულ ფარგლებში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ბრძოლის წარმატებისათვის.

ფ. გ. ზახაროვმა წაიკითხა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მისასალმებელი წერილი ხიროსიმა-მაგასაკის კონფერენციის საერთაშორისო ნაწილისადმი.

ხიროსიმა, 6 აგვისტო. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი გ. გავრილენკო გვატყობინებს:

დღეს აქ ატომური ტრაგედიის 21-ე წლისთავის გამო გაიმართა ქალაქის მშრომელთა და იაპონიის ყველა კუთხის მოსახლეობის წარმომადგენელთა მასობრივი მიტინგი. მიტინგი მოაწყო ატომური იარაღის აკრძალვის ეროვნულმა კონფერენციამ ხიროსიმა-ნაგასაკის კონფერენციის ფარგლებში. მიტინგის მონაწილეებს მიესალმნენ სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე სასაკი და იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს გენერალური მდივანი აკირა ივაი. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა მშვიდობისათვის თვალსაჩინო მებრძოლმა, ხიროსიმის უნივერსიტეტის პროფესორმა მორიტაკიმ.

მიტინგის მონაწილეებმა მჭუხარე ტაშის გრიალში მიიღეს ხიროსიმის მოწოდება, რომელშიც მოითხოვენ ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას, ვიეტნამის მებრძოლი ხალხისადმი დახმარების გაძლიერებას, ამერიკის აგრესიის შეწყვეტას, უცხოთის ჯარების ვიეტნამიდან გაყვანას, აგრეთვე ოკინავის იაპონიისათვის დაბრუნებას.

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

ხიროსიმა, 8 აგვისტო. (საკდესი). გუშინ აქ დამთავრდა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონფერენციის ხიროსიმის ნაწილი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ვიეტნამის საქმეებში ამერიკის ჩარევა, რამაც შეიძლება ატომური კონფლიქტი გამოიწვიოს, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მოძრაობის ცენტრალური საკითხი გახდა.

კონფერენციის მონაწილეებმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოსთხოვეს: დაუყოვნებლივ და უთუოდ შეწყვიტოს სამხრეთ და ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა, ცნოს სამხრეთ ვიეტნამის ეროვნული განთავისუფლების ფრონტი სამხრეთვიეტნამელი ხალხის ოფიციალურ და ნამდვილ წარმომადგენლად, გაიყვანოს მთელი თავისი ჯარები და უცხოთის სხვა ჯარები ვიეტნამიდან და ლიკვიდაცია უყოს იქ ყველა სამხედრო ბაზას; მთლიანად ცნოს ვიეტნამელი ხალხის ეროვნული თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლებები.

მშვიდობის დამყარება ვიეტნამში, აღნიშნულია რეზოლუციაში, მნიშვნელოვნად შეანელებდა საერთაშორისო ვითარებას და დასახავდა ატომური და წყალბადის ბომბების სრული აკრძალვის, საყოველთაო და სრული განიარაღების გზებს.

რეზოლუციაში წამოყენებულია ხუთი პრინციპი, რომლებიც შეიცავენ მოთხოვნებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და სსრ კავშირმა, რომლებიც ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადების ინიციატორები არიან, გაავრცელონ ეს ხელშეკრულება ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდაზეც, რომ თითოეულმა ატომურმა სახელმწიფომ განაცხადოს, რომ პირველი არ გამოიყენებს ატომურ იარაღს, რომ დიდოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, რომ მოისპოს ბაზები სხვის ტერიტორიაზე, შეიქმნას ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონები, დაიშალოს სამხედრო ბლოკები.

კიდევ ორი მსხვერპლი

ტოკიო, 8 აგვისტო. (საკდესი). ატომური დაბომბვის დროს მიღებული რადიოაქტიური გამოსხივების შედეგად ნაგასაკის ჰოსპიტალში გუშინ გარდაიცვალა ქალაქ ნაგასაკის კიდევ ორი მცხოვრები — სუეხარუ სიკადა და მატგაორო ურაკავა. სიკადა რადიოაქტიური გამოსხივებით დაავადდა 6 აგვისტოს ქალაქ ხიროსიმის დაბომბვის დროს, ხოლო ურაკავა — 1945 წლის 9 აგვისტოს ნაგასაკის ატომური დაბომბვის შედეგად.

მიმდინარე წლის დამდეგიდან ნაგასაკის ჰოსპიტალში, სადაც იაპონელი ექიმები მკურნალობენ ატომური აფეთქების შედეგად დაავადებულ ადამიანებს, გარდაიცვალა 46 კაცი.

რასისტული თვითნებობა ჩიკაგოში

ნიუ-იორკი. (საკდესი). ჩიკაგოში ამერიკელი რასისტები მხეცურად გაუსწორდნენ რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ საპროტესტო მარშის მონაწილეებს. ათასობით რასისტმა არამზადამ სეტყვასავით დაუშინა ქვა და ბოთლები დემონსტრანტებს, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ ზანგებს უფლება მიეცეთ დაიქირაონ საცხოვრებელი სახლები ჩიკაგოს იმ უბნებში, სადაც თეთრკანიანები ცხოვრობენ. ერთ-ერთმა არამზადამ ქვით თავი გაუტეხა ცნობილ ზანგ ხელმძღვანელს მარტინ ლუთერ კინგს, რომელიც საპროტესტო მარშს მეთაურობდა. უფრო მეტიც, ერთ-ერთმა რასისტმა დანა ესროლა კინგს, მაგრამ აიცილა და დაჭრა მახლობლად მდგომი ახალგაზრდა. იგი საავადმყოფოში წაიყვანეს.

გამხეცებული რასისტები გაიძახოდნენ „მოკალით იგი, მოკალით იგი!" (კინგი. — **კორ. შენიშვნა**). ბრბო იქნეოდა პლაკატებს, რომლებზეც წარწერილი იყო, მოვსპოთ ზანგებიო. სხვა პლაკატებზე წარწერილი იყო: „ხელისუფლება — თეთრკანიანებს", „შეკანიანებო, წაეთრიეთ აქედან!"

კინგმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ზანგების მიმართ ასეთი სიძულვილი თვით ალაბამსა და მისისიპიშიც არ გამოუჩენიათ.

გერმანიის კომპარტიის განცხადება

ბერლინი, 8 აგვისტო. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა განიხილავს „ეკონომიკის სტაბილიზაციის" ღონისძიებებს, გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ რადიოსადგურ „დოიჩერ ფრაიხაიტსზენდერ 904"-ის მეშვეობით გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ამ ღონისძიებათა მიზანია დასავლეთ გერმანიის ეკონომიკისა და მთელი ცხოვრების მილიტარიზაცია.

გერმანიის კომუნისტური პარტია ამ განცხადებაში მოითხოვს, რომ შემოღებულ შეიარაღების წარჯები და გაუქმდეს მთავრობის განკარგულებანი ფასების ტარიფებისა და ბინის ქირის გაძვირების შესახებ.

ოკუპანტები ტოვებენ სანტო-დომინგოს

პარიზი, 8 აგვისტო. (საკდესი). დაახლოებით 500 ამერიკელმა ჯარისკაცმა დომინგოს რესპუბლიკაში განლაგებული საოკუპაციო ჯარების კონტინგენტიდან, დატოვა სანტო-დომინგო და ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა.

მაგრამ ამ ქვეყანაში ეგრეთ წოდებული „ამერიკის ქვეყნების შეიარაღებული ძალების" ალმით ჯერ კიდევ იმყოფებიან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსამსახურენი.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ვარაუდობენ, რომ იქ დარჩენილი სამხედრო კონტინგენტების ევაკუაცია მოხდება მხოლოდ მომავალი წლის თებერვლის დამლევისათვის.

დაპატიმრებანი დომინგოს რესპუბლიკაში

პანამა, 8 აგვისტო. (საკდესი). დომინგოს რესპუბლიკის სამხედრო-საპაერო ძალების ოფიცრებმა დააპატიმრეს დომინგოს რევოლუციური პარტიის ექვსი ლიდერი, მათ შორის მისი გენერალური მდივანი რაფაელ მოლინა უორნეი.

როგორც პრენსა ლატინას სააგენტოს სანტოდომინგოელი კორესპონდენტი იუწყება, რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა და ამ პარტიის ხელმძღვანელმა ხუან ბოშმა მანც ვერ მოახერხა რიმე განმარტება მიეღო შეიარაღებული ძალების მინისტრის გენერალ ენრიკე პერეს-ი-პერესისაგან დაპატიმრებათა მიზეზების შესახებ. ხუან ბოშმა განაცხადა, რომ ამ დაპატიმრებას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს.

ახალი პროვოკაცია

ანომ-პენი, 6 აგვისტო. (საკდესი). 31 ივლისს ამერიკის სამხედრო-საპაერო ძალების ექვსი ვერტმფრინავი შეიჭრა კამბოჯის საპაერო სივრცეში და ტყეიანი ფერდობების ცეცხლი და რაკეტები დაუშინა სვაიერიენგის პროვინციის სოფელ სამრონგის რაიონს. იუწყება დღეს ქხმერის პრესის სააგენტო.

მიწისძვრა იაპონიასა და ამერიკაში

ტოკიო, 8 აგვისტო. (საკდესი). ტოკიოს ჩრდილო-დასავლეთით 170 კილომეტრზე მდებარე ქალაქ ნაგანოს რაიონში დღეს მიწა ძრა. მიწისქვეშ ბიძგის ეპიცენტრი ალრიცხეს ქალაქ მაცუხიროს რაიონში 10 კილომეტრზე ქალაქ ნაგანოს სამხრეთით. იაპონიის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით, მაცუხიროს რაიონში მომხდარი მიწისქვეშა ბიძგის ძალა 3 बალს შეადგენდა შვიდბალიანი სკალის მიხედვით, რომელსაც იაპონიაში იყენებენ.

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. (საკდესი). გუშინ დღისით ლოს-ანჯელესის ცენტრში იგრძნობოდა 5,6 बალის სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგები. სპეციალისტთა აზრით მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს მექსიკის რაიონში.

ბიძგები აღინიშნა აგრეთვე ზოგიერთ სხვა რაიონში — სამხრეთ კალიფორნიასა და არიზონაში. მიწისძვრას მოჰყვა თუ არა ზარალი ამის შესახებ ცნობები არა ყოფილა.

ინტერვენტთა ზარალი

სანოი, 8 აგვისტო. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების შეიარაღებული ძალები 26-27 ივლისს ორჯერ მოულოდნელად დაესხნენ თავს ზიადინის პროვინციის დონგდუს რაიონში დანაკარგებული ამერიკის შეერთებული შტატების 25-ე ქვეითი ჯარის დივიზიის მე-11 ბრიგადას. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს სამხრეთ-ვიეტნამის სააგენტო „განთავისუფლებას". პატრიოტთა იერიშების შედეგად დახოცილი და დაჭრილია 600 ამერიკელი ჯარისკაცი, მწყობრიდან გამოვიდა 60 ტანკი და ჯავშანმანქანა, დაზიანებულია 1 ვერტფრინავი. ეს განთავისუფლების ჯარების მერვე შეტევაა ამერიკის დივიზიაზე, რომელსაც ეგზოტიკური სახელი „ტროპიული ელვა" ეწოდება, მას შემდეგ, რაც იგი ზიადინის პროვინციაში დაბანაკდა. სააგენტო „განთავისუფლების" კოოპერატივებს ეკუთვნოდათ. ნავებთან ერთად მათ ხელთ იგდეს ეკიპაჟი და სათევზაო აღჭურვილობა.

ამასთან დაკავშირებით ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის მეთაურის მსაზრით ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას გაუგზავნა საპროტესტო წერილი.

აგრესორი თავს უყრის ძალებს

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. (საკდესი). სამოქალაქო პრესის საააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი, იმოწმებს რა ამერიკის სამხედრო წრეებიდან მიღებულ ცნობებს, იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობამ ბრძანება გასცა ტონკინის უყურის წყლებში კიდევ ერთი ავიამზიდის გადაყვანის შესახებ, რათა საჰაერო დატყვევება გააძლიეროს ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ. როგორც სააგენტო აღნიშნავს, ტონკინის უყურეში უკვე დაურაკვს ამერიკის ორი ავიამზიდი, რომლებიდანაც ამერიკის საზღვაო ავიაცია თავს ესხმის ჩრდილოეთ ვიეტნამს.

კოლუმბიის ახალი პრეზიდენტი

ბოგოტა, 8 აგვისტო. (საკდესი). კარლოს ლეერასს რესტრეპომ ფიცი დადო როგორც კოლუმბიის ახალმა პრეზიდენტმა.

კარლოს ლეერასმა, ლიბერალური პარტიის ლიდერმა, პოსტზე დანიშვნის ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვაში გაანცხადა, რომ განახორციელებს პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ რეფორმებს.

ამერიკელი ჯარისკაცები „ერთობიან"

ბონი, 8 აგვისტო. (საკდესი). მიუნხენის „ნორდის" რაიონის მცხოვრებლებისათვის 6 აგვისტოს ღამე შფოთიანი გამოდგა. მთელი ღამე გაისმოდა აფეთქების ხმა, რამაც დიდი შეშფოთება გამოიწვია მოსახლეობაში.

გამოძიებით გამოირკვა, რომ აფეთქებები ამერიკელმა ჯარისკაცებმა მოაწყეს. „გართობის" მიზნით ისინი მიუნხენში ღამით ქუჩებში აფეთქებდნენ სასწავლო ხელის გრანატებს.

ამ აფეთქებებმა მოსახლეობის შეშფოთება და პროტესტები გამოიწვია, აფეთქებებს მატერიალური ზარალიც მოჰყვა. კერძოდ, როგორც გაზეთი „ზიუდდოიჩე ციტუნგი" იუწყება, ერთ-ერთი აფეთქების შედეგად ძლიერად დაზიანდა რესტორანი, საიდანაც რამდენიმე საათით ადრე აფეთქებამდე ოცზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი გაიძვეს, რადგან მათ რესტორანში ჩხუბი ატეხეს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა განუწყვეტელი ხულიგნური გამოსვლების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ამ უწესრიგობის ორგანიზატორები და მონაწილენი, როგორც წესი, დაუსჯელი რჩებიან. როგორც პრესა იუწყება, ახლახან შვაინფურტში გაიმართა „საჩვენებელი" სასამართლო პროცესი ოთხი ამერიკელი ჯარისკაცის საქმის გამო, რომლებიც თავს დაესხნენ გერმანელ ტაქსის შოფერს და მძიმედ დაჭრეს. სასამართლომ ხულიგნებს მიუსაჯა მინიმალური ვადის — ორიდან ოთხ თვემდე პატიმრობა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, სახალხო არმიის მესანგრეები სახალხო მილიციის მებრძოლთა დახმარებით აუვნებლებენ ამერიკულ ბომბს. რადიოფოტო ვია-საკდესისა

ცვლილებანი ბურუნდიში

პარიზი, 6 აგვისტო. (საკდესი). 1 სექტემბერს მემკვიდრე უფლისწულს შარლ ნდიზეიეს აკურთხებენ ბურუნდის სამეფოს მკვამდ (მეფედ). ამიერიდან მისი სახელი იქნება ხტარე V. ამას ბუჟუმბურიდან იტყობინება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

საკდესის კომენტატორი სერგი კულიკი ამ ცნობასთან დაკავშირებით წერს:

19 წლის მემკვიდრე უფლისწული შარლ ნდიზეიე სამეფოს სათავეში ჩაუდგა 8 ივლისს. მან ისარგებლა ამით, რომ მამამისი, მკამი მკამბუტსა IV უკვე ერთ წელზე მეტია დასასვენებლად და სამკურნალოდ არის ევროპაში. ხელი იგდო მთელი უმაღლესი ძალაუფლება, გადაიყვანა მთავრობა და შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება.

აი უკვე რამდენიმე წელია ბურუნდი მწვავე შინაპოლიტიკურ კრიზისს განიცდის. ამ კრიზისის მთავარი მიზანია სამეფოს ორ დიდ ეს შორის — ტუტსისა და ხუტუს შორის ტომობრივი შუღლი, რომელიც ამ დამოუკიდებელ ქვეყანას ჯერ კიდევ კოლონიური დროიდან შემორჩა. ამ დავას ახლავს სისხლისმღვრელი შეტაკებანი, ათასობით ლტოლვილის გასახლება ბურუნდის ფარგლებს გარეთ. ეს დავა იყო მიზეზი ბევრი პოლიტიკური მკვლელობისა და მთავრობის კრიზისისა. სამპარისია ითქვას, რომ 1961 წლის შემდეგ ბურუნდიში რვა პრემიერი შეიცვალა.

განმარტა რა მიზეზები, რამაც აიძულა ხელში აეღო ძალაუფლება, შარლ ნდიზეიემ უწინარეს ყოვლისა დაასახელა მისწრაფება ბოლო მოეღოს მთავრობათა უთავბოლო ცვლას. „მთავრობა სულ უფრო ხშირად იცვლება. მინდა სტაბილური გაგხადო მდგომარეობა სამეფოში. მთელ სამეფოში გაბატონებულია ანარქია, ქაოსი ნათესაობა და ძმაკაცობა, — თქვა პრინცმა. — ბურუნდის ეკონომიკა სულ უფრო სუსტდება, მინისტრების ავტორიტეტი კი ეცვამა". ბურუნდის ახლანდელ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეფისწულს შარლ ნდიზეიეს მიმართვას ერისადმი. მიმართვაში მან ხალხს მოუწოდა ეროვნული ერთობისა და შეკავშირებისათვის.

მეფისწულის შარლ ნდიზეიეს შინაპოლიტიკური აქციები მოწმობს, რომ განზრახული აქვს ბოლო მოუღოს ტრაბალიზმს ბურუნდიში, აღგილობრივი რეაქციის თარეშს.

ბურუნდის სამეფოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე ახლა დანიშნულია კაპიტანი მიშელ მიჩომბერო, რომელიც ცნობილია „უპრონის" პარტიის მემარცხენე ფრთასთან სიახლოვით. 27 ივლისს ბურუნდის პრემიერმა გამოაქვეყნა ამ ქვეყნის განვითარების სამწლიანი გეგმა, რომელიც, როგორც მან განაცხადა, ფეხზე დააყენებს სამეფოს ეკონომიკას. მთავარი მეცადინეობა მოხმარდება კვების პროდუქტების წარმოების გადიდებასა და უმუშევრობის ლიკვიდაციას. მიჩომბერომ განაცხადა, ჩემი ქვეყანა ნეიტრალურ საგარეო პოლიტიკას განახორციელებო.

ბურუნდის ახალი ხელმძღვანელობის ღონისძიებებს მხარს უჭერენ მოსახლეობა, ამ ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ბურუნდის საკანონმდებლო კრებამ და სენატმა, პროვინციათა გუბერნატორებმა და თვითმმართველობის აღგილობრივმა ორგანოებმა, „უპრონის" პარტიის ეროვნულმა საბჭომ, „რვაგასორეს" ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ახალ რეჟიმს.

ინგლისის სამხედრო სარდლობის გადაწყვეტილება

კაირო, 8 აგვისტო. (საკდესი). აქ ცნობილი გახდა, რომ შუა აღმოსავლეთში დაბანაკებული ინგლისის ჯარების სარდლობამ გადაწყვიტა ბეიპანის პროტექტორატში გადაიყვანოს „ჰანტერის" ტიპის რვაქტიული თვითმფრინავები. ეს ცნობა, წერს გაზეთი „ალ-აპრამი", ააშკარავებს იმას, თუ რას ისახავს მიზნად ინგლისი, როცა ტყუილად აბრალებს იემენში მოქმედ ეგვიპტის სამხედრო თვითმფრინავებს იემენის საზღვრების მახლობლად მდებარე ბეიპანის პროტექტორატზე თავდასხმას.

ამერიკელი ჯარისკაცები „ერთობიან"

ბონი, 8 აგვისტო. (საკდესი). მიუნხენის „ნორდის" რაიონის მცხოვრებლებისათვის 6 აგვისტოს ღამე შფოთიანი გამოდგა. მთელი ღამე გაისმოდა აფეთქების ხმა, რამაც დიდი შეშფოთება გამოიწვია მოსახლეობაში.

გამოძიებით გამოირკვა, რომ აფეთქებები ამერიკელმა ჯარისკაცებმა მოაწყეს. „გართობის" მიზნით ისინი მიუნხენში ღამით ქუჩებში აფეთქებდნენ სასწავლო ხელის გრანატებს.

ამ აფეთქებებმა მოსახლეობის შეშფოთება და პროტესტები გამოიწვია, აფეთქებებს მატერიალური ზარალიც მოჰყვა. კერძოდ, როგორც გაზეთი „ზიუდდოიჩე ციტუნგი" იუწყება, ერთ-ერთი აფეთქების შედეგად ძლიერად დაზიანდა რესტორანი, საიდანაც რამდენიმე საათით ადრე აფეთქებამდე ოცზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი გაიძვეს, რადგან მათ რესტორანში ჩხუბი ატეხეს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა განუწყვეტელი ხულიგნური გამოსვლების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ამ უწესრიგობის ორგანიზატორები და მონაწილენი, როგორც წესი, დაუსჯელი რჩებიან. როგორც პრესა იუწყება, ახლახან შვაინფურტში გაიმართა „საჩვენებელი" სასამართლო პროცესი ოთხი ამერიკელი ჯარისკაცის საქმის გამო, რომლებიც თავს დაესხნენ გერმანელ ტაქსის შოფერს და მძიმედ დაჭრეს. სასამართლომ ხულიგნებს მიუსაჯა მინიმალური ვადის — ორიდან ოთხ თვემდე პატიმრობა.

ვაშინგტონ-ბონის აგრესიული ქავშირი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა სულ უფრო აქტიურად უერთდება ვიეტნამში ომის ესკალაციის პოლიტიკას. ამ თემასადმი მიძღვნილი გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგის" კარიკატურა.

ჩვენს მეგობრებთან

სოფია. 7 აგვისტოს ასი ათასზე მეტი მშრომელი შეიკრიბა ხაზინიო მიტინგზე, რომელიც მოეწყო სტარა-პლანინის მთებში ბუზლუჯის მწვერვალზე, სადაც 75 წლის წინათ გაიმართა ბულგარეთის კომპარტიის დამფუძნებელი ყრილობა. ზეიმს დაესწრნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი, რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნიკოლაე ჩაუშესკუ, რომელიც ბულგარეთში სტუმრად არის, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მინისტრები, პარტიის ვეტერანები.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ტოდორ ჟივკოვმა და ნიკოლაე ჩაუშესკუმ, რომლებსაც დამსწრენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო გაერთიანება „სპეციალური დანიშნულების ავიაცია". მას აქვს რამდენიმე ათეული თვითმფრინავი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტყის ნარგავების მავნებლებთან საბრძოლველად და ყანებში ქიმიური სასუქების შესატანად. ხუთწლედის დამლევისათვის გაერთიანების თვითმფრინავთა პარკში იქნება 180 მანქანა.

პრაღა. ეილინში გაიმართა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ტრადიციული მიტინგი.

მიტინგზე სტუმრად იყვნენ სლოვაკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. დუბჩეკი, საბჭოთა კავშირის ეიც-კონსული ბრატისლავაში ა. ი. ბირიუკოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ა. დუბჩეკმა და ა. ი. ბირიუკოვმა.

მიტინგის მონაწილეებმა დეპეშა გაუგზავნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს პრაღაში, რომელშიც სოლიდარობას უცხადებენ მებრძოლ გმირ ვიეტნამელ ხალხს.

მიტინგის დასასრულს უჩვენეს მხატვრული ფილმი „ოდა".

ბელგრადი. ქალაქ ოხრიდში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა კომპოზიტორთა საერთაშორისო შეხვედრა, რომელიც 5 დღეს მიმდინარეობდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მუსიკოსები. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ახალგაზრდა თაობის მუსიკალური შემოქმედების აქტუალური საკითხები.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გამოთქვეს სურვილი, რომ გაფართოვდეს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მუსიკოსთა თანამშრომლობა საერთაშორისო დაახლოებისა და ურთიერთგაგების მიზნით.

**

კომუნისტი
ახალი ამგები

„რერო“ პარიზში

საფრანგეთს „ეკემგზავრა საბჭოთა მუზიკ-ჰოლი „ალმოსავლური რეგიონ“, რომლის შემადგენლობაშია საქართველოს სახელმწიფო ორკესტრი „რერო“. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი დაუკავშირდა მუზიკ-ჰოლის სამხატვრო ხელმძღვანელს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, რეჟისორ ა. ბონიკოვსკს და სთხოვა მოკლედ ეამბნა საგასტროლო მოგზაურობის შესახებ.

ი რა გვიამბო მან.

„ავეიტორ პარიზის „ოლიმპიის“ დარბაზში პირველ სპექტაკლს გამართავს საბჭოთა მუზიკ-ჰოლი, რომელიც ფრანგებს ძირითადად ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების ხალხთა ხელოვნებას გააცნობს.

სხვა საბჭოთა კოლექტივებთან და ცალკეულ შემსრულებლებთან ერთად მუზიკ-ჰოლის პროგრამაში მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო“, სოლისტები ნანული აბესაძე და სულიკო კოროშინაძე, კონფერანსიე გია ჭირაქაძე და ნორჩი მომღერალი ირმა სოხაძე.

მუზიკ-ჰოლის მუსიკალური ხელმძღვანელია საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი კონსტანტინე პეკზნერი.

კონცერტის პირველ განყოფილებას უმეტესად ქართულ ხელოვნებას დაუთმობთ. ვოკალური ტრიო ნ. აბესაძის, ს. კოროშინაძისა და გ. ჭირაქაძის შემადგენლობით შეასრულებს პოპულარულ ქართულ სიმღერებს „ორერო-ორეროსა“ და „გაზაფხულს“, გარდა ამისა, ორკესტრი შეასრულებს ქართულ საორკესტრო სიუიტას. შემდეგ პარიზელები მოუსმენენ პატარა ირმას, რომელმაც ახე მოკლე ხანში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ნორჩი მომღერალი სიმღერებს შეასრულებს და. ვფიქრობ, იხეე დიდი ტრიმატება ექნება საფრანგეთში, როგორც უკვე აქვს ჩვენს მაყურებელთა შორის.

საფრანგეთში ოცდათორმეტ დღეს დავყოფთ და ამდენსავე კონცერტს გავმართავთ ხაუკეთესო საკონცერტო დარბაზებში.

კონცერტები პლანტაციებსა და საძოვრებზე

ნაყოფიერად მუშაობს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბრის კულტურის სახლის (დირექტორი შ. კინწურაშვილი) ագიტბრიგადა, რომელსაც კ. წიწავა ხელმძღვანელობს.

ბრიგადა სისტემატურად მართავს გასვლით კონცერტებს ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საველე ბრიგადებსა და საკოლმეურნეო ფერმებში. ოქტომბერკელმა სცენისმოყვარე ახალგაზრდებმა ამას წინათ საღამო კონცერტები გამართეს ონარიისა და ზედაეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, რიყის, ოქტომბრის, ინაკლოის, კახათის, ახალკახათის სასოფლო კლუბებსა და კულტურის სახლებში. კონცერტებზე შეასრულეს სიმღერები, სკეტჩები, ფელეტონები, იუმორისტული სცენები. კონცერტებს ყველგან მრავალი მაყურებელი ესწრებოდა.

ագიტბატერულ ბრიგადას გათვალისწინებული აქვს ჩაის კრეფის გადამწყვეტ დღეებში ასეთი საღამო კონცერტები გამართოს ზუგდიდის რაიონის სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საველე ბრიგადებსა და მაღალმთიან საგახაფხულო საძოვრებზე.

გ. ალშიბაია.

1966 წლის სესხის პირველი ტირაჟი

15 აგვისტოს ლენინგრადში გაიმართება 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი. იგი გამოშვებულია მიმოქცევაში მიმდინარე წლის 1 ივლისიდან.

როგორც საკადესის კორესპონდენტს აცნობეს სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო ბანკის სახელმწიფო კრედიტის მთავარ სამმართველოში, ტირაჟში ახალი სესხის ერთ თანრიგზე გათამაშდება 512.560 მანეთის 9.400 მოგება. აქედან მოგებანი 5.000, 2.500, 1.000, 500, 100 და 40 მანეთის ოდენობით.

1966 წელს ამ სესხის მორიგი ტირაჟები გაიმართება: 30 სექტემბერს — თბილისში, 15 ნოემბერს — კიევსა და 30 დეკემბერს მოსკოვში.

1947 წელს გამოშვებული სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა ტირაჟები წლის ბოლომდე მოეწყობა: 113-ე ძირითადი და მე-19 დამატებითი — 30 სექტემბერს მოსკოვში და 114-ე ძირითადი — 30 ნოემბერს უსტ-კამენოგორსკში. (საკადესი).

ექსპედიცია მთათუშეთში

ახმეტა. (საკ. კორ.). მთათუშეთს ესტუმრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია, რომელშიც შედიან აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ჩიტაია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ბარდაველიძე, მეცნიერი თანამშრომლები მ. ხაზარაძე, მ. გუგეტიშვილი, ნ. მაისურაძე, ე. ერიაშვილი, მ. შილაკაძე, დ. გიორგაძე, არქიტექტორები გ. ზამთარაძე, შ. ახანიშვილი და ლ. საფრაზიანი.

ექსპედიცია სწავლობს და აგროვებს ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც გამიზნულია საქართველოს სოციალური და კულტურის ისტორიის დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად.



სოხუმი. ქალაქის ხედი ზღვიდან.

ფოტო ვ. გენდე-როტესი (საკადესის ფოტოკრონიკა).

სასიამოვნო სიახლენი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს, ამოშავდა პურის ახალი № 3 ქარხანა.

ახალი ქარხანა, რომლის მშენებლობაზე 800 ათასამდე მანეთი დაიხარჯა, აღჭურვილია მაღალი წარმადობის დანადგარებით. აქ საწარმოო პროცესები მთლიანად ავტომატიზებული და მექანიზებულია.

ქარხანა დღეღამეში 50 ტონა პურსა და პურეულის პროდუქტებს გამოუშვებს.

სარჩერე. (საკ. კორ.). სამოქალაქო ავიაციის აეროდრომზე 20 ივლისიდან დაიწყო რეგულარული მიმოსვლა თვითმფრინავით საჩხერე-თბილისსა და საჩხერე-ჟუთაისს შორის.

მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის ქუთაურიდან აეროდრომამდე ავტობუსებს ავტობუსი.

ბიათორა. (საკ. კორ.). ლენინის ქუჩაზე აშენდა ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც სამოცი ოჯახი შეასახლდა.

ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მთავრდება სტალინისა და კომკავშირის ქუჩებზე. მალე მშრომელები აქაც ახალმოსახლეობას იზეიმებენ.

გაანათებული ანანური

ვინ არ მოხიბლულა საქართველოს სამხედრო გზის მშვენებით. გზა კი არა, საოცარი ზღაპარია, ულამაზესი პოემაა.

მაგრამ მარტო გზის მშვენება როდი ხიბლავს მგზავრს. არაგვისა და თერგის ხეობებში მიმავალი კაცი არა გვგონია გულგრილად უცქერდეს ჩვენი ხალხის უძველესი კულტურის ძეგლებს, რომლებიც ისტორიულ ნიშანსვეტებად ჩამწკრივებულან დედაქალაქიდან დარიალის ვიწროობამდე. თვითეული მათგანი ხომ ერის წარსულის უტყვი, მაგრამ ამავე დროს მრავლისმეტყველი მოწმეა.

ადამიანები მარტო დღისით როდი მგზავრობენ, ბევრი ამჯობინებს ღამით, სიგრილეში მგზავრობას. თუმცა ღამით მოგზაური ბევრს კარგავს; ვერ დატკბება ბუნების სილამაზით, ჩვენი ციხე-სიმაგრეების დიდებული სანახაობით.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენმა ელექტროსპეციალისტებმა შესანიშნავი თაობნობა გამოიჩინეს, მათი ოსტატობით ღამის სიბნელეში გაჩირაღდნდა ჯვრის მონასტერი და სვეტიცხოველი, ხოლო დედაქალაქში — ქართველის დედა. ახლახან განათდა გვიანი ფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი — ანანურის ციხე-სიმაგრე. ოცდაექვსი მძლავრი პროჟექტორის შუქში ჩაფლული ანანური ღამის სიბნელის ფონზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. მგზავრები ინტერესით უცქერენ საინტერესო სანახაობას.

ანანურის განათება მოაწყეს საქსოფელექტრომშენის სპეციალური სამონტაჟო-სამშენებლო სამმართველოს მუშაკებმა.

ა. თომაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: ანანურის ციხე ღამით.

ფოტო ვ. ქისტაურისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,ორერო“ პარიზში

საფრანგეთს „ეკემგზავრა საბჭოთა მუზიკ-ჰოლი „ალმოსავლური რეგიონ“, რომლის შემადგენლობაშია საქართველოს საესტრადო ორკესტრი „რერო“. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი დაუკავშირდა მუზიკ-ჰოლის სამხატვრო ხელმძღვანელს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, რეჟისორ ა. ბონიკოვსკს და სთხოვა მოკლედ ეამბნა საგასტროლო მოგზაურობის შესახებ.

ი რა გვიამბო მან.

„ავეიტორ პარიზის „ოლიმპიის“ დარბაზში პირველ სპექტაკლს გამართავს საბჭოთა მუზიკ-ჰოლი, რომელიც ფრანგებს ძირითადად ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების ხალხთა ხელოვნებას გააცნობს.

სხვა საბჭოთა კოლექტივებთან და ცალკეულ შემსრულებლებთან ერთად მუზიკ-ჰოლის პროგრამაში მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო“, სოლისტები ნანული აბესაძე და სულიკო კოროშინაძე, კონფერანსიე გია ჭირაქაძე და ნორჩი მომღერალი ირმა სოხაძე.

მუზიკ-ჰოლის მუსიკალური ხელმძღვანელია საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი კონსტანტინე პეკზნერი.

კონცერტის პირველ განყოფილებას უმეტესად ქართულ ხელოვნებას დაუთმობთ. ვოკალური ტრიო ნ. აბესაძის, ს. კოროშინაძისა და გ. ჭირაქაძის შემადგენლობით შეასრულებს პოპულარულ ქართულ სიმღერებს „ორერო-ორეროსა“ და „გაზაფხულს“, გარდა ამისა, ორკესტრი შეასრულებს ქართულ საორკესტრო სიუიტას. შემდეგ პარიზელები მოუსმენენ პატარა ირმას, რომელმაც ახე მოკლე ხანში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ნორჩი მომღერალი სიმღერებს შეასრულებს და. ვფიქრობ, იხეე დიდი ტრიმატება ექნება საფრანგეთში, როგორც უკვე აქვს ჩვენს მაყურებელთა შორის.

საფრანგეთში ოცდათორმეტ დღეს დავყოფთ და ამდენსავე კონცერტს გავმართავთ ხაუკეთესო საკონცერტო დარბაზებში.

,,ალბერტ ჰოლი“ ლონდონში

ალბერტ ჰოლი — ეს ლონდონის ერთ-ერთი ულამაზესი, ულამაზესი ნაგებობა. ეს ერთ-ერთი ადგილია, სადაც ინგლისელ ხალხს ეამაყება